დანართი 1
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის --- იანვრის
N---------- ბრძანებით

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებით „დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით“ გათვალისწინებული სამედიცინო ვაუჩერის გაცემის და გამოყენების წესი

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ღონისძიებაში „დახმარება შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირთა და ასაკით პენსიონერთათვის გლუკომეტრის ჩხირების შეძენის მიზნით “ ჩასართავად, ბენეფიციარმა ან მისმა წარმომადგენელმა სამედიცინო ვაუჩერის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და წარადგინოს:

ა) მოქალაქის განცხადება;
ბ) ქვეპროგრამის მოსარგებლის დამადასტურებელი საბუთი;
გ) პირადობის მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი (შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა, საპენსიო ბარათი), რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა;
ე) ანგარიშ-ფაქტურა აფთიაქიდან.

ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გაიცემა სამედიცინო ვაუჩერი. ქვეპროგრამით დახმარება გაეწევა იმ პაციენტებს, რომლებიც ფლობენ სრულად შევსებულ ვაუჩერს.

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში, დახმარება მედიკამენტების ჩხირების შესაძენად - ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს, კერძოდ, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ შშმ პირებს და ასაკით პენსიონერებს, მომსახურეობა გაეწევა წელიწადში ერთხელ და მიეცემათ 100 ლარის ღირებულების ვაუჩერი.

ვაუჩერის გაცემა ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებიდან (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25) და ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტოს ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებიდან.